ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3722511

ნომერი: AR1561585

თარიღი : 30.11.2017

გაცემის თარიღი : 07.12.2017

გაცნობის თარიღი : 07.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინო ჟვანია , N 28 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლაი პადეროვ პ/ნ 01791004548
- თბილისი ნ.ჟვანიას ქ. N 28 ბ. 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

-განსაზღვრეთ მდებარეობა რუკაზე, მიუთითეთ წილობრივი მონაცემები ან წარმოადგინეთ საპროექტო ფართის ფასადის ამონაწერი. ასევე საჭიროა წარმოადგინოთ ქვედა ფართის ამონაწერი და მესაკუთრის შესაბამისად დამოწმებული თანხმობა, ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
-გაურკვეველია განმცხადებლის უფლებამოსილება. სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მორგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა პირმა და წარმოადგინოს სათანადო დოკუმენტაცია. ასევე, შესაძლებელია უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
- თქვენს მიერ წარმოდგენილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი არ არის მისაღები, რადგან თანხმობა არ ეხება ჩასატარებელ სამუშაოებს, შესაბამისად წარმოსადგენია სათანადო წესით დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა), ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, კრების დამსწრე წევრების რიცხვითი და %–ული რაოდენობის მითითებით. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ " საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, რომლის თანახმად, კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3–ს (67%) და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ამასთან კრების ოქმში აღინიშნოს თუ ვის საკუთრებაში არსებულ ფართზე ხდება კარის და კიბის მოწყობა და აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მომართოს დაინტერესებულმა პირმა.

-განმარტეთ ინფორმაცია რელსების შესახებ, რა მიზნით ხდება მანთი განთავსება, ასევე განმარტეთ ინფორმაცია საპროექტო ფართის ფუნქციურ დანიშნულებასთან დაკავშირებით.

-წარმოადგინეთ საკადასტრო გეგმა, საპროექტო არიალის დატანით, გაბარიტული ზომების მითითებით, ასევე მიუთითეთ მანძილები ტროტუარამდე.

-საპროექტო ფოტომონტაჟზე მიუთითეთ რომ ხის მასალა დამუშავდება ცეცხლმედეგი ხსნარით.
გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.